



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტრუქციის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის
სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტრუქციის სამართლის საქმეთა პალატაში 2011 წელს სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით 658 საქმე შემოვიდა.

მიმდინარე წელს ინსტრუქციის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დასაშვებობა 830 საქმეზე შემოწმა. აქედან: 564 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, ხოლო 266 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

დასაშვებობა შემოწმებული 830 საქმიდან 776-ზე საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად.

დაშვებული საქმეებიდან განხილულია 54 საქმე, აქედან 38 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 20, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 1, გარდაბნის რაიონული სასამართლოს 3, გორის რაიონული სასამართლოს 6, თელავის რაიონული სასამართლოს 1, მცხეთის რაიონული სასამართლოს 1, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2 საქმეზე), ხოლო 16 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია აბაშის რაიონული სასამართლოს 1, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 7, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 1, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2, ხობის რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე).

განხილვის შედეგად: უცდლელად დარჩა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 5 საქმეზე;

გაუქმდა განაჩენი 12 საქმეზე. აქედან: 9 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 3 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი 12 საქმეზე. აქედან: 6 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 6 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა სასჯელი 8 საქმეზე აქედან: 6 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

შეიცვალა კვალიფიკაცია 7 საქმეზე. აქედან: 5 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

განაჩენი შეიცვალა სამოქალაქო ნაწილში 4 საქმეზე. აქედან: 3 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

განაჩენი გაუქმდა სამოქალაქო ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცა სასამართლოს 3 საქმეზე. სამივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან.

საქმე, როგორც არასწორად შემოსული დაბრუნდა 3 შემთხვევაში. აქედან: 1 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან;

პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები საქმეთა განხილვისას უშვებენ სხვადასხვა სახის დარღვევებს, რაც გამოიხატა როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი

2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 22.06.2010 წლის განაჩენი. განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 12.04.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების სააპელაციო საჩივრები მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განიხილა ერთპიროვნულად, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას. ამავე კოდექსის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი ეს გარემოება განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას (საქმე №814აპ-10 12.01.2011).

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5² ნაწილის მოთხოვნა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.12.2010 წლის განაჩენი. განხილული

ჰელი სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 3.11.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: „სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ან მუხლის ნაწილი სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას ან პროკურორი – გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას“.

ვინაიდან ზ. კ-ის მიმართ დადგენილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის კანონი არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მსჯავრდებული არ ითხოვდა გამართლებას, ზ. კ-ის სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ ექვემდებარებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს არ უნდა განეხილა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაუქმდა (**№105აპ-11 24.03.2011**).

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.01.2011 წლის განაჩენი. განხილული ჰელი სააპელაციო საჩივარი გარდაბნის რაიონული სასამართლოს 26.11.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი არ იყო ხელმოწერილი სხდომის თავმჯდომარის მიერ, რაც სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ჩატარდა ზეპირი მოსმენის გარეშე და, შესაბამისად, მტკიცებულებები არ გამოკვლეულა. ასეთ ვთარებაში პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრის მოტივებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს (**საქმე №128აპ-11 12.04.2011**);

დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 484-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.06.2011 წლის განაჩენი. განხილული ჰელი სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.06.2009 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმის არსებითად განხილვისას კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები. შესაბამისად, სათანადოდ არ დადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მითითებულ საკითხს ყურადღება არც სააპელაციო სასამართლომ მიაქცია და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მტკიცებულებები სრულყოფილად არც მას გამოუკვლევია, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 484-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლო სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებული იყო

შესაძლებლობას, შეაფასებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათი ერთობლიობისა და საქმარისობის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს (საქმე №439აპ-11 14.12.2011).

დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 563-ე მუხლის პირველი ნაწილი (თბილისის საპელაციო სასამართლოს 8.12.2010 წლის განაჩენი. განხილული ჰქონდა საპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 30.09.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული განაჩენით სამართლებრივად სწორად შეფასდა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა საქმის განხილვისას საერთოდ არ გამოიკვლიეს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რამაც გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე. აღნიშნული, სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 563-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა და საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს ზემომითობებული გარემოებები საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას. ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას (საქმე 27აპ-11 9.02.2011).

ანალოგიური საქმეები: №22აპ-11 17.02.2011, №457აპ-11 13.10.2011.

გაუქმდა თბილისის საპელაციო სასამართლოს 10.12.2010 წლისა და 22.07.2011 წლის განაჩენები.

განაჩენები მიღებულია პირველი ინსტანციის შემდეგი სასამართლოების მიერ: გორის რაიონული სასამართლო 21.10.2010; თბილისის საქალაქო სასამართლო 31.01.2011.

განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.05.2010 წლის განაჩენის დასკვნას იმის თაობაზე, რომ, თითქოს ლ. გ-ის მიერ თაღლითური ქმედებით დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ოდენობის ზიანის მიყენება არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით და მართებულად მიიჩნია თაღლითობის ნაწილში მსჯავრდებულის ქმედების ის კვალიფიკაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 23.09.2009 წლის განაჩენში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლ.გ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებასთან ერთად ბრალად უნდა შერაცხოდა აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაც. საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ნაწილში დაუსაბუთებელია, რაც გამოიწვია იმან, რომ სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, არ შეაფას სრულად და საფუძვლიანად. (საქმე №736აპ-10 10.01.2011).

საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.10.2010 წლის განაჩენი. განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, სამართლებრივად სწორად არ შეაფასეს ისინი (საქმე №1074აპ-10 4.02.2011).

საქმეზე განაჩენი გაუქმდა და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.07.2010 წლის განაჩენი. განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 16.04.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია დანაშაულის საგნის ღირებულება, არ დაადგინა მიყენებული მატერიალური ზიანის რეალური ოდენობა, რაც ძირითადი ფაქტობრივი გარემოებაა როგორც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების, ისე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის (საქმე №936აპ-10 25.02.2011).

ანალოგიური საქმეები: №300აპ-11 12.07.2011; №432აპ-11 5.09.2011.

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.04.2011 წლისა და 11.07.2011 წლის განაჩენები.

განხილული იყო სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.12.2010 წლისა და 29.04.2011 წლის განაჩენებზე.

საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რეზაქცია) 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოების განაჩენები გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე სამოქალაქო სამართლწარმოების წესით განსაზილველად გადაეცა შესაბამის პირველი ინსტანციის სასამართლოებს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ არ დაადგინეს ზიანის ოდენობა და არ შეამოწმეს განაჩენების კანონიერება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში (საქმები №851აპ-10 28.02.2011, №368აპ-11 03.10.2011, №303აპ-11 2.11.2011).

სამოქალაქო სარჩელის ნაწილში გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.07.2010 წლის, 13.05.2011 წლისა და 15.03.2011 წლის განაჩენები.

განხილული იყო სააპელაციო საჩივრები ახალციხის რაიონული სასამართლოს 15.04.2010 წლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.12.2010 წლისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 06.06.2008 წლის განაჩენებზე.

განაჩენი დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში გაუქმდა იმის გამო, რომ მსჯავრდებულს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა (თბილისის სააპელაციო

სასამართლოს 22.11.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 03.09.2008 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებული სამოქალაქო მოპასუხედ საქმეზე ცნობილი არ ყოფილა და, შესაბამისად, არც მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები განმარტებია. გარდა ამისა, საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება ფაქტობრივად არ დაწყებულა, რისთვისაც პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამრთალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (საქმე №56აპ-11 14.06.2011).

ანალოგიური საქმე: №200აპ-11 03.10.2011.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.02.2011 წლის განაჩენი გაუქმდა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ახალციხის რაიონული სასამართლოს 25.05.2010 წლის განაჩენზე.

საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა და დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდა წარმოება სარჩელზე უარის გამო. სააპელაციო სასამართლოში დაკითხულმა დაზარალებულმა განაცხადა, რომ აღარ ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. მოუხდავად ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 31.01.2011 წლის განაჩენით მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ მაინც დაეკისრა ზიანის ანაზღაურება (განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ხობის რაიონული სასამართლოს 13.10.2010 წლის განაჩენზე).

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (საქმე №165აპ-11 29.04.2011);

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სამოქალაქო სარჩელების საგნის ოდენობა. დაზარალებულების სასარგებლოდ მსჯავრდებულს დაეკისრა მეტი თანხის გადახდა, რაც შეუსაბამოა კანონის მოთხოვნებთან (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.10.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.06.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 30-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით წარმოქმნილი ურთიერთობები მოწესრიგებული არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი იმპერატორულად უთითებს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს, თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. შესაბამისად, საკასაციო პალატის განჩინებით მსჯავრდებულისთვის

დაკისრებული თანხები შემცირდა დაზარალებულების მოთხოვნის ფარგლებში (საქმე №1110აპ-10 30.05.2011);

განაჩენიდან ამოირიცხა მითითება დაყადაღებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის, აგრეთვე გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა, კანონით დადგენილი წესით, დაუბრუნდა მის შემტანს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 30.03.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტები, რომელებიც დაადასტურებდნენ გირაოს შემტანი პირის გაფრთხილებას სსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ (№705აპ-10 10.01.2011). ანალოგიური საქმე №1079აპ-10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.07.2010 წლის განაჩენზე.

2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

შესწავლილ განჩინებებში, გარდა საპროცესო კანონმდებლობის დარღვევებისა, სააპელაციო სასამართლოებს დარღვეული აქვთ მატერიალური კანონი, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ქმედების კვალიფიკაციაზე, ისე სასჯელზე.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა შსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 19,108-ე მუხლით (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 14.03.2011 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 11.01.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი. საქმეში არსებული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებენ, რომ ი. ს-მ შ. ს-ს უმნიშვნელო საბაბის საფუძველზე მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. კერძოდ, იგი განაწყენდა შ. ს-ის შენიშვნაზე, შეეწყვიტა მისი სიძის – რ. ქ-ის უცენზურო სიტყვებით მოხსენიება. ყურადსალებია ის ფაქტიც, რომ კონფლიქტის წამომწყები იყო შსჯავრდებული, ხოლო დაზარალებული ცდილობდა, თავიდან აერიდებინა სიტუაციის გამწვავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ი. ს-მ შ. ს-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძნობით და ი. ს-ის ქმედება სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირა სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე (საქმე №252აპ-11 25.07.2011).

შსჯავრდებულს არასწორად ჰქონდა შეფარდებული საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.01.2011 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.09.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატის განმარტებით, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ დასტურდება როგორც ლ. გ-ის მ. ც-ის თვითმკვლელობამდე მიყვანის განზრახვა, ასევე ის გარემოებაც, რომ მ. ც-ი თავის მოკვლის მიზნით გადახტა მანქანიდან. პირიქით, მას შემდეგ, რაც ს. გ-მა და ლ. გ-მა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა, არ გაუჩერეს მანქანა და არ მისცეს მანქანიდან გადასვლის საშუალება, მან მათგან თავის დაღწევა და თავისუფლების მოპოვება სცადა მანქანიდან გადახტომით და სწორედ ამ დროს მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა და რაც ვერ ჩაითვლება თვითმკვლელობამდე მიყვანად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ლ. გ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და, შესაბამისად, განაჩენიდან ამოირიცხა ამ მუხლით დანიშნული სასჯელი (საქმე №136აპ-11 30.05.2011).

მსჯავრდებულს არასწორად ჰქონდა შეფარდებული საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.10.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განზიღული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 6.08.2009 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მ. ზ-სადმი მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხის ჯანმრთელობის მოუშლელად. ამდენად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის № დასკვნის თანახმად, მ. ზ-ს მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, მიყენებული დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის შემადგენლობას, ვინაიდან პირის ამ მუხლით ბრალდებისათვის აუცილებელია, რომ მართლისაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვიოს დაზარალებულის ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. თ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (საქმე №1067აპ-10 9.02.2011).

მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებსა და 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე, შესაბამისად სასჯელი შემსუბუქდა (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.10.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განზიღული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 29.04.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განაჩენი ყაჩაღობის ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე. მსჯავრდებულს არ მოუხდენია თავდასხმა მობილური ტელეფონის ან სხვა მოძრავი ნივთების გატაცების მიზნით. დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი უკვე მის მფლობელობაში იყო და მის მიერ გამოყენებული ძალადობა განაპირობა შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მიზანმა. შესაბამისად, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ მოიცავდა ყაჩაღობის შემადგენლობას, რის გამოც დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

გარდა ამისა, ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენით ასევე საფრთხე შეექმნა ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობას, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატა ცემაში,

კერძოდ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებები მიეკუთვნებოდა დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. რაღაც მსჯავრდებულის ქმედებას არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია, ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქმე №1101აპ-10 6.04.2011).

მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა ერთობლივად სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 220-ე მუხლით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.12.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული პქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.07.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (თაღლითობა, ე.ი. მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება, ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით) მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი დამატებით, ზოგადი ნორმით – 220-ე მუხლით (სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით) კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. მ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ნაწილში და შესაბამისი ცვლილება შევიდა დანიშნულ სასჯელშიც (საქმე №65აპ-11 22.07.2011).

სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად ვერ შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.10.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული პქონდა სააპელაციო საჩივარი გარდაბნის რაიონული სასამართლოს 19.07.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: განხილული გარემოებები იმაზე მიუთითებდა, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ – თაღლითობის მცდელობა, რაც გამოიწვევდა დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. განაჩენი სასჯელის ნაწილში დარჩა უცვლელად (საქმე №1106აპ-10 19.04.2011).

მსჯავრდებულის ქმედება, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტან ერთად, ზედმეტად იყო დაკვალიფიცირებული იმავე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.09.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.07.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება თაღლითობის ბრალდების ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირებულიყო მხოლოდ აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (საქმე №957აპ-10 29.03.2011).

მსჯავრდებულს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ქმედებისათვის არასწორად დაედო მსჯავრი ორი დამოუკიდებელი ეპიზოდის გამო (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 14.03.2011 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 24.12.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქმის მასალების მიხედვით, როდესაც მსჯავრდებულმა დ. ბ-მ გადაწყვიტა, დამზადებინა ორი ყალბი შესყიდვის აქტი, ამოძრავებდა ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვა – მოეწესრიგებინა თავისი საწარმოს წლიური ბუღალტრული აღრიცხვიანობა. შესაბამისად, თითოეული შესყიდვის აქტის დამზადებისას მას არ აღმვრია დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვა, ამიტომ მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ქმედებას. დ. ბ-ს მიერ განხორციელებული ერთი და იმავე ხასიათის ორი დანაშაულებრივი ქმედება შინაარსობრივად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთიანი ჯაჭვის რეალები, რაც ცხადყოფს, რომ დაგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში სახეზეა სსკ-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული – განგრძობადი დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებულ დ. ბ-ს ქმედები, რაც დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი), დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ერთი ეპიზოდი), და შესაბამისად, ნაცვლად თითოეული ქმედებისათვის ცალ-ცალკე შეფარდებული სასჯელებისა, მას განესაზღვრა ერთი სასჯელი (საქმე №240აპ-11 19.09.2011).

განაჩენი გაუქმდა ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შემენა-შენახვისათვის ი. ჭ-ის მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდებში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.09.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.05.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შემენა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. ექსპერტიზის დასკვნებით კი ი. ჭ-საგან ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობები სავარაუდო ვარგისი იყო დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად (საქმე №1076აპ-10 21.02.2011).

მსჯავრდებულების ქმედება არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, – ხულიგნობა, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 22.07.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 9.03.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ რაღაც იმ მომენტში, როდესაც ვ. ტ-ი, ვ. ჩ-ი და მათთან ერთად კიდევ ერთი პირი ერთობლივად სჩადიოდნენ ხულიგნურ ქმედებას, ისინი მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებულად, მაგრამ ეს თანხმობა მათ შორის არ არსებობდა მაშინ, როდესაც ამ დანაშაულის ჩადენა დაწყო ვ. ტ-მა ინდივიდუალურად, ხოლო დანარჩენები შემდეგ შეუერთდნენ მის მიერ დაწყებულ დანაშაულს.

ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული მაშინ ჩაითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება დანაშაულში მონაწილე პირებს შორის მიღწეულია და არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მესამე პირთან ერთად ჩადენილი აქვთ მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონი ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არ მიიჩნევს მის ჩადენას ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე (საქმე №868აპ-10 1.02.2011).

მსჯავრდებულის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.11.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.07.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტესარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს (საქმე №1155აპ-10 14.02.2011).

მსჯავრდებულს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა არასწორად ჰქონდა წარდგენილი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.07.2010 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.05.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილების თანახმად, მსჯავრდებულ ბ. კ-სგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები წარმოადგენს არა განსაკუთრებით დიდ, არამედ – დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს განჩინებით ბ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და მსჯავრდებულს მისი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით სასჯელის ზომად ნაცვლად 11 წლისა განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით (საქმე №847აპ-10 14.02.2011).

მსჯავრდებულის ქმედება, ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობისა, არასწორად იყო დაკვალიფიცირებული ნარკოტიკების გასაღებად (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.03.2011 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი გარდაბნის რაიონული სასამართლოს 24.01.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლობით უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სხვა პირისათვის უკანონო გადაცემის ნებისმიერი ხერხი როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე (გაყიდვა, გაჩუქრება, გაცვლა სხვა ნივთში, გასესხება და ა.შ.). იგი დამთავრებულად ჩაითვლება სხვა პირზე მისი გადაცემისას.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ე. კ-ს ქმედება, მართალია, მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების თავისი შვილის – ვ. კ-სათვის გადასაცემად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამდენად, სახეზეა არა დამთავრებული დანაშაული, არამედ – დანაშაულის მცდელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ე. კ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, უზენაესი სასამართლოს განჩინებით გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობაზე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და სსკ-ის 19, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობა. მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი დარჩა უცვლელად (საქმე №345აპ-11 25.07.2011).

გ. წ-ს არასწორად დაედო მსჯავრი ექვსი დამოუკიდებელი ეპიზოდის გამო საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.07.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 31.05.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: გამორჩენის ან უპირატესობის მიღება შეიძლება გამოიხატოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით დამნაშავის მისწრაფებაში – მიიღოს რაიმე მატერიალური გამორჩენა თავისთვის ან სხვა პირთათვის, სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. გამორჩენის ან უპირატესობის მიღებას შეიძლება

არაქონებრივი ხასიათიც ჰქონდეს, თუმცა, გ. წ-ს არავითარი პირადი ნაცნობობა არ აკავშირებდა იმ ექვს ადამიანთან, რომელთა სააღსრულებო წარმოებები კანონდარღვევით შეწყდა. შესაბამისად, არ შეიძლებოდა სრულიად უცნობი პირებისათვის უპირატესობის მინიჭების მიზანი მოცული ყოფილიყო მისი განზრახვით. ამასთან, გ. წ-ს მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედება – სააღსრულებო წარმოებათა შეწყვეტა, შრომატევადი სააღსრულებო პროცედურების თავიდან არიდების მოტივით, ასევე ვერ განიჩილება მისთვის უპირატესობის მინიჭებად, ვინაიდან აღნიშნული მოქმედება არ გამოხატავს საკუთარი თავისთვის უპირატესობის მინიჭების შინაარსს. ასევე, მსჯავრდებულ გ. წ-ს ყველა ახალი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისას არ აღძრია დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვა. მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ რამდენიმე ქმედებას.

გ. წ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასკვნისათვის, რომ მან ჩაიდინა სამოხელეო დანაშაული – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია). შესაბამისად, ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილზე (საქმე №915აპ-10 11.03.2011);

სასამართლო გამოძიებით უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, როგორც ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქუთასის საპელაციო სასამართლოს 11.05.2011 წლის განაჩენი. სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.03.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატაში განმარტა: სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებონა, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლია მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს – ექსპერტს, ხოლო ამ ქმედების ჩადენისას ალ. ზ-ნი უკვე აღარ იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, რის გამოც მის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის – საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას: გასაღების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის დამზადებას. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, ამ ქმედებით ალ. ზ-ნმა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობაც, როდესაც გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი დასკვნა ჩააბარა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული სამსახურის კანცელარიას გამომძიებლისათვის გადასაცემად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს მცდელობას იმ თვალსაზრისით, რომ: ყალბი დოკუმენტის მიმღები საბოლოო ადრესატი იყო გამომძიებელი, მაგრამ არა – ხსენებული სამსახურის კანცელარია, რომელიც მხოლოდ დოკუმენტის შემკვეთისა და შემსრულებლის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა და ამ დოკუმენტის მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნდა; ამასთან, ყალბი ექსპერტიზის დასკვნა არ გასცილებია კანცელარიის ანუ ექსპერტიზის რეგიონული სამსახურის ფარგლებს, ვინაიდან სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი დანაშაული, რომელიც აღიკვეთა მცდელობის სტადიაზე მანამ, ვიდრე იგი დამთავრებულ სახეს მიიღებდა

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების სახით. განხილული გარემოებები კი იმაზე მიუთითებს, რომ ალ. ზ-ნმა ჩაიდინა ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობა ანუ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და იმავე კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (საქმე №357აპ-11 07.12.2011).

განაჩენიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში მსჯავრდებულების მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა სასჯელებზეც (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.02.2011 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.09.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზეც, რის გამოც მათი ქმედების ხსნებული მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია (საქმე №175აპ-11 07.06.2011).

ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელზე გავლენა მოახდინა სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულმა უზუსტობამ, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.09.2010 წლის განაჩენით (სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივარი განხილული ჰქონდა გორის რაიონული სასამართლოს 08.06.2010 წლის განაჩენზე) ვ. ბ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ და მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლისაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის) დაკვალიფიცირება გამოწვეული იყო იმით, რომ იგი ნასამართლევად ჩათვალეს იმ ნასამართლობისათვის, რომელიც მას უკვე გაქარწყლებული ჰქონდა.

საკასაციო პალატის განჩინებით ვ. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა, ხოლო მისი ქმედება დაკვალიფიცირდა იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, როგორც ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შესაბამისად, მას შეუმსუბუქდა სასჯელი (იხ. საქმე 1073აპ-10 14.03.2011).

ანალოგიური შეცდომა იყო დაშვებული №9 72აპ-10 (14.01.2011) საქმეზე.

შეცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.07.2010 წლის განაჩენი. (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 20.04.2010 წლის განაჩენზე).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი არ შეესაბამებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სასჯელის დანიშნის პრაქტიკას (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 31.08.2010 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 28.04.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ თ. კ-სათვის განსაზღვრული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით – არ შეესაბამება ჯგუფური ყაჩაღობის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში

ძალადობის მუქარით ჩადენისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასჯელის დანიშვნის პრაქტიკას. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობიდან გაუშვეს ის გარემოება, რომ ყჩაღობის ჩადენისას არც თ. კ-სა და არც მის თანამზრახველ მეორე პირს დაზარალებულების მიმართ არ ჩაუდენიათ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, მათ გამოიყენეს მხოლოდ ასეთი ძალადობის მუქარა, რაც, შესაბამისად, უნდა ასაზულიყო დანიშნული სასჯელის ზომაზე. ამიტომ მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის ზომა შემცირდა და, როგორც ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ისე თვით მისი ჩამდენის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, სპასლონ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით (საქმე №940აპ-10 14.03.2011).

მსჯავრდებულს სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაკისრა დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 28.04.2011 წლის განაჩენი). სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.08.2010 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, 1995 წელს მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახით ითვალისწინებდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, გამასწორებელ სამუშაოებს, ქონების კონფისკაციას და არა - ჯარიმას. ამასთან, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი კოდექსის შესაბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული, შესაძლებელია მხოლოდ ახალი - 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგლებში, 2007 წლის 31 მაისიდან და ვერ გავრცელდება მოცემულ კონკრეტულ დანაშაულზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. მ-ს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამატებით სასჯელად დაკისრებული ჯარიმა (საქმე №350აპ-11 12.12.2011).

3. დასკვნა

წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოების განაჩენებისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების გამო 2011 წელს საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დაშვებული დარღვევები, რაც აისახა მათ მიერ მიღებული განაჩენების გაუქმებაში ან მათში ცვლილებების შეტანაში, უმეტეს შემთხვევაში გამოწვეული იყო:

სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით, რადგან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების სააპელაციო საჩივრები სააპელაციო სასამართლომ განიხილა ერთპიროვნულად;

საქართველოს სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5² ნაწილის მოთხოვნის დარღვევით, რომლის თანახმად, სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

შესაბამისი მუხლი ან მუხლის ნაწილი სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას ან პროკურორი – გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას (მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ ექვემდებარებოდა საკასაციო წესით გასაჩივრებას);

სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის დარღვევით, რაც განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი არ იყო ხელმოწერილი სხდომის თავმჯდომარის მიერ, სააპელაციო სასამართლომ კი საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და, შესაბამისად, მტკიცებულებები არ გამოკვლეულა;

სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 484-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით, რომლის შესაბამისად, მსარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლო სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე, რაც სასამართლოს საქმის არსებითად განხილვისას კანონით დადგენილი წესით არ გამოუკვლევია;

პრაქტიკის შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები სამოქალაქო სარჩელთან მიმართებით, კერძოდ:

- საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოების განაჩენები გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსაზილებლად გადაეცა შესაბამის პირველი ინსტანციის სასამართლოებს, რადგან არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ არ დაადგინეს ზიანის ოდენობა და არ შეამოწმეს განაჩენების კანონიერება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სამოქალაქო სარჩელების საგნის ოდენობა. დაზარალებულების სასარგებლოდ მსჯავრდებულს დაეკისრა მეტი თანხის გადახდა;
- მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოში დაკითხვის შემდეგ დაზარალებულმა განაცხადა, რომ აღარ ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ მაინც დააკისრა ზიანის ანაზღაურება, რითაც დაირღვა სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა;

ზოგიერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა, რასაც მოჰყვა მსჯავრდებულების გამართლება სსკ-ის 115-ე, 120-ე, 376-ე მუხლებით წარდგენილი ბრალდებების ნაწილში; ქმედებების გადაკვალიფირება: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლიდან სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილზე; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან სსკ-ის 239-ე მუხლის I-ლ ნაწილზე; სსკ-ის

179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე და 125-ე მუხლის I-ლ ნაწილზე; დამთავრებული დანაშაულიდან დანაშაულის მცდელობაზე; ასევე, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი რამდენიმე ქმედების ჩადენისათვის, რომელიც წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (განგრძობადი დანაშაული), პირები მსჯავრდებულები იყვნენ თითოეული, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვით ჩადენილი ქმედებისათვის.

ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელზე გავლენა ასევე მოახდინეს სააპელაციო სასამართლოების მიერ დაშვებულმა უზუსტობებმა;

პრაქტიკის შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი არ შეესაბამებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკას.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**